ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: ოთარ დადუნაშვილი (551 14 66 33)

საფუძველი: განცხადება 20.09.2013წ. 12/13263401-16

მისამართი: ქ.თბილისი, ჭურა წყალსადენი №13

საკ.კოდი: №01.11.04.029.077

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – 06.08.2012წ. №296715 AR167665

ფუნქციური დანიშნულება: საწყობი II კლასი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (10.10.2013) დადგინდა:

ფასადი „1-4": პირველ სართულზე „1-1" ღერძთან ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟი. „2-2" ღერძთან ფანჯარას მონაცვლებული აქვს ადგილი „3-3" ღერძის მიმართულებით 0.40მ-ით და შეცვლილი აქვს ნახატი. „2-3" მონაკვეთში გაუქმებულია კარი და მოწყობილია ფანჯარა. „3-3" ღერძთან შემცირებულია კარის სიმაღლე 0.40მ-ით, კარს მონაცვლებული აქვს ადგილი მარჯვნივ 2.20მ-ით. „3-3" ღერძთან შეცვლილია გარე კიბის კონფიგურაცია, მოწყობილია ერთმარშიანი კიბე. შეცვლილია მოაჯირის ნახატი და ფერი. გაუქმებულია ბაქანი, ბაქნების და სახურავის საყრდენები და დამატებულია კიბის მარშის ქვეშ ლითონის საყრდენები. +3.10 ნიშნულზე „3-3" ღერძთან შეცვლილია კარის ნახატი. ამავე ღერძთან შეცვლილია სახურავის საპროექტო ფორმა და მოწყობილია გადახურვის ლითონის კარკასი. მოწყობილია წყლის შემკრები მილი. +4.00 ნიშნულზე „3-4" მონაკვეთში ფანჯარას მონაცვლებული აქვს ადგილი „4-4" ღერძის მიმართულებით 1.40მ-ით. „4-4" ღერძთან გაუქმებულია ფანჯარა. მეორე სართულზე „1-3" მონაკვეთში მოწყობილია ორი კონდიციონერი.

ფასადი „ა-ბ": +2.10 ნიშნულზე „ა-ა" ღერძთან გაუქმებულია ფრამუგა. ±0.00 ნიშნულზე „ბ-ბ" ღერძთან შეცვლილია კედლის ფორმა და გაუქმებულია 2მ² ფართობი. მეორე სართულზე მოწყობილია ფანჯარა. ფასადის სიბრტყიდან გამოსულია რიგელების თავები. „ბ-ბ" ღერძთან მოწყობილია წყლის საკომუნიკაციო მილი.

ფასადი „4-1": ფასადი არ არის შელესილი და შეღებილი. +5.10 ნიშნულზე „3-1" მონაკვეთში სამეზობლო მიჯნაზე, მინაბლოკის ნაცვლად მოწყობილია ფრამუგები. +7.60 ნიშნულზე გაუქმებულია პარაპეტი და მცირედ შეცვლილია გადახურვის ფორმა.

ფასადი „ბ-ა": მოწყობილია კონდიციონერი.

ფანჯრების და ფრამუგების ნაწილზე მოწყობილია გისოსები.

შეამოწმა: . . . . . **გ. ჭუმბურიძე**